

# ლიცენოცენტრული საშუაში



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეთ „საშურის მოამბის“ დამატება  
№12, 21 დეკემბერი, ხუთშაბათი, 2023 წელი

## მშვიდობიანი შობა-ახალი წელი, საქართველო...

**შენ, გაგიმარჯოს, დიდო ქართველო!**

შენ, დიდო მგზავრო,  
ხეთის, ურარტუს აღმოდებული სანახებისა,  
კავკასს მიაყრდენ ზურგი უდრეკი  
დრო მოიპოვე განახლებისა...  
სამფერ ანბანის მოამაგე ხარ,  
ხალიბი იყავ, გქონდა სამშობლო  
ოქრომრავალი,  
მრავალ შესაქმეს დაუდე თავი,  
სწავლის და შრომის  
თესე თავთავი მარადიული!  
ევროპასა და მთელ დუნიაზე –  
შენ, შოთას წიგნო, შეუდარებო,  
ილიას შუბლო, აკაკის ჩანგო  
და იაკობის „აი-ია“ო,  
მზის ყველა სხივო და ცისარტყელავ,  
მთავ იალბუზო და მყინვარწვერო,  
შენ, ჯიხვის შუბლო, ირმის სილადევ,  
შენ, სიპო კლდეო, წმინდა ჩანჩქერო,  
შენ, მუხის ფესვო, ჭადრის სიმაღლევ,  
ვაზის ლერწამო და თავთუხთავო,  
ქართული ღვინის ამონათებავ,  
უზადო როკვავ, ლოცვავ ღვთიურო,  
ათასი ჰანგის ამომღერებავ,  
მადლის გამცემო, სხივო ციურო,  
მარადიულო სანთელ-საკმელო,  
შენ, გაგიმარჯოს, დიდო ქართველო!

**ზეინაბ ხმიადაშვილი**

# ლექსის მუზა

## ციცო

წყაროზე ჩაგიყვანს და არ დაგაღვინებსო,  
 მწყურვალს დაგტოვებსო, ჩაჰყვები ვინცო,  
 ცოლ-შვილს გაგყრის და აგარევიანებსო –  
 შენზე თუ უთქვამთ, პატარა ციცოვ!  
 მე იმ ასაკში არა ვარ ახლა და  
 არც იმ ჭკუაზე – ცოლ-შვილს გავეყარო!  
 მაგრამ შემომიჩნდა სურვილის მახრა და  
 პატარა ციცოვ, უნდა დამეხმარო!  
 ხოლო ციცუნია ტოლებში დაჰქრის  
 და შენი მახრა ფეხზე ჰკიდია,  
 თუმცა სავსე მკერდი მიუგავს სახნისს  
 და ეს შეახსენებს, რომ უკვე დიდია!  
 ისე ჩამოგივლის მინაგასახეთქი,  
 ვითომც ქვეყანაზე მარტო ის ერთია.  
 როგორც ხეჭყური, ქვაზე დასათხლეში –  
 ციცო ისეთია!  
 წყაროზე ჩაგიყვანს და არ დაგაღვინებსო,  
 მწყურვალს დაგტოვებსო, დაჰყვები ვინცო,  
 ცოლ-შვილს გაგყრის და აგარევიანებსო –  
 შენზე თუ უთქვამთ, პატარა ციცოვ!

### პოეტის იდუმალი მუზა – ლექსი შედევის ადრესატი

ყოველთვის საინტერესოა ლექსის ადრესატის ვინაობა, მითუმეტეს, როცა პოეტი მურმან ლებანიძეა და ლექსი შედევიანა. ლექსიდან ჩანს, რომ პოეტი ალაფროთოვანა ციცოს პიროვნებას. ძნელია იმის თქმა, პირდაპირ ნატურიდან გადმოიღო პოეტმა ლექსში პროტოტიპის სახე, თუ რაღაც შტრიხი დაამატა ან შეცვალა რაიმე, როგორც შემოქმედებით პროცესში ხდება ხოლმე.

და მაინც, ვინ არის ციცო?

ჩვენში ხშირად იციან ხოლმე რაიმე ღირებულის მითვისება: წიგნის, ლექსის, მოთხრობის, სიმღერის. ამ შემთხვევაშიც ასე იყო, ლექსის ადრესატობას მრავალი ციცო ითვისებდა.

ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში, რიგრიგობით ოცდახუთი ციცო მონაწილეობდა. ყოველი მათგანი ამტკიცებდა, რომ ის იყო ლექსის ადრესატი. ამ დროს კი, ნამდვილი ჭეშმარიტი ადრესატი ტელევიზორთან იჯდა და იღიმებოდა. ამბობდა, რამდენი ციცო ყოფილა საქართველოშიო. ოჯახის წევრებმა შესთავაზეს, მოდი, ამ საიდუმლოს ტაბუ მოვხსნათ და, ბოლოს და ბოლოს, სიმართლე ითქვასო. არაო, უთქვამს ქალბატონს, დარჩეს ისეთივე იდუმალი, როგორიც არისო.

ღიახ, მურმან ლებანიძის უმშვენიერესი ლექსის ადრესატი ულამაზესი ციცო სანაძე გახლავთ, ონკოქირურგი, მამოლოგი. იგი აბასთუმანში შეხვდა პოეტს, რომელმაც ეს ლექსი მიუძღვნა, მაგრამ, ალბათ მოკრძალების გამო, პირადად არ გადაუცია, ფოსტით გამოუგზავნა თბილისში. ქალბატონი ციცო სიკვდილამდე სათუთად ინახავდა მურმან ლებანიძის ხელნაწერს. დღეს იგი ცოცხალი აღარ არის (93 წლის გარდაიცვალა), მაგრამ მის ოჯახში დღესაც ინახება ჟამთა სვლისაგან გაყვითლებული ნახევარსაუკუნეზე მეტი ხნის ლექსის ხელნაწერი. ლექსის მუზას, ამ დიდებულ რელიქვიას თვალისჩინივით უფრთხილდება ქალბატონი ციცოს ქალიშვილი ეკა მამულია.

ბედნიერი ვარ, რომ ახლოს ვიცნობდი ქალბატონ ციცო სანაძეს, რომელიც მიუხედავად ასაკისა, ყოველთვის მომხიბვლელად გამოიყურებოდა. მეტად გულელია, ადამიანების მოყვარული, კეთილი, საქმიანი, თავმდაბალი, – ასეთი იყო იგი. მეც მერგო მისი ადამიანური სიტბო, სიყვარული. მის ოჯახშიც ვყოფილვარ, მოვხიბლულვარ მისი სტუმართმოყვარეობით, დიასახლისობით. დავმტკბარვარ დიდებული

შემოქმედის კორნელი სანაძის ნახატი, სასტუმრო ოთახს რომ ამშვენებს. ამ ნახატიდან გიცქერის ულამაზესი ახალგაზრდა ქალბატონი. როგორც ჩანს იგი, მხოლოდ პოეტის არა, მხატვრის მუზაც ყოფილა.

სიცოცხლით სავსე, კომუნიკაბელური, არაჩვეულებრივი მოსაუბრე, უზომოდ განათლებული, – აი, ასეთი მახსოვს ქ-ნ ციცო. შეხედავდი და იფიქრებდი, რომ ცხოვრების გზა ია-ვარდით ჰქონდა მოფენილი, მაგრამ ასე არ იყო...

რეპრესირებულ ოჯახის შვილს მწარე დამლად დაჰყვებოდა ყველგან „ხალხის მტრის შვილობა“. „ხალხის მტერი“ კი მისი მამა, სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, პატრიოტი ქართველი ალექსანდრე სანაძე იყო. სწორედ მისი უსამართლოდ დაპატიმრებისა და დახვრეტის შემდეგ დამძიმდა ქ-ნ ციცოს ცხოვრება. არადა,



გამორჩეული ბავშვიყოფილა სკოლაში. მღეროდა, ცეკვავდა, არაჩვეულებრივი დეკლამატორიც იყო... თავზე მეხის დაცემას უდრიდა ერთხელ, სასკოლო ღონისძიების პროგრამიდან რომ ამოიღეს, როგორც „ხალხის მტრის“ შვილი. ძალიან დიდი ხნის შემდეგ, მშობლის რეაბილიტაცია მოხდა, მაგრამ გოგონას ტკივილი ტკივილად დარჩა... ცხოვრებაში ქალბატონი ციცოს ერთადერთი იმედი და დასაყრდენი სასწაულად გადარჩენილი დედა იყო.

მიუხედავად ასეთი ტრავმისა და გაჭირვებისა, ციცო სანაძემ

დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი. ისიც სასწაული იყო, რომ თავისი ბედი რეპრესირებული ოჯახის შვილს, სერგო მამულიას დაუკავშირა. ერთი ბედისა აღმოჩნდნენ, მაგრამ ქალბატონ ციცოს დედა მაინც ჰყავდა, სერგო მამულიას კი ორივე – დედაც და მამაც გაუნადგურეს ისე, რომ მათი საფლავებიც არ დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი მაღალი თანამდებობის პარტიული მუშაკები იყვნენ, არც ისინი დაინდო მაშინდელმა ხელისუფლებამ.

როგორც ქალბატონი ციცო იხსენებდა, მისი და სერგო მამულიას ახალშექმნილმა ოჯახმა ნულიდან დაიწყო ცხოვრება. მათი ახალგაზრდობის წლები ეკლიან გზაზე გადიოდა. უჭირდათ, ზოგჯერ ყველაზე ახლობელ ადამიანებსაც ვერ ენდობოდნენ. ავის მოლოდინი იყო ყოველთვის მათი მეგზური. ერთადერთი მათი სიმდიდრე სიყვარული იყო, რომელმაც მრავალ განსაცდელს გაუძლო. ბავშვობაში გაჭირვებულმა ყოფამ თავისი კვალი დატოვა, მეუღლე-სერგო მამულია ტუბერკულოზით დაავადდა. სწორედ მაშინ გამოვლინდა ქალბატონი ციცოს კიდევ ერთი თვისება – ერთგულება. წუთითაც არ დაუტოვებია მეუღლე, მთელი სიცოცხლე მას მიუძღვნა.

მიუხედავად ცხოვრებისეული მძიმე განსაცდელისა, ქალბატონი ციცო არ გაბოროტებულა. შეინარჩუნა დიდი ადამიანური სიკეთე. მის სპეცაკ სულს არ შერევია ცხოვრების მღვრიე საღებავის არცერთი წვეთი... ბოლომდე ლალი, გულითადი, მშვენიერი იყო. არც ბავშვობის დროინდელი დეკლამატორობისთვის უღალატია, მშვენივრად კითხულობდა ლექსებს, უყვარდა პოეზია.

ქალბატონი ციცო ყველა ოჯახის სასურველი სტუმარი იყო. გულთბილი ურთიერთობა ჰქონდა მის ოჯახს კონსტანტინე გამსახურდიასთან. მწერლის ძმისშვილი, სიმონი ქალბატონი ციცოს მეუღლის დეიდაშვილი იყო. ეს ურთიერთობაც ამით იყო განპირობებული. გამსახურდიების ოჯახში ციცო სანაძე ყოველთვის სუფრის მშვენიება გახლდათ. კონსტანტინე გამსახურდიას წლები რომ მოეძალა, ციცო სტუმრებია. მწერალს ვეღარ უცვნიდა და უკითხავს, ვინ არის ეს ლამაზი ქალიო. როცა უთხრეს, ვინ იყო, უთქვამს, გონება აღარ მიჭრის, მაგრამ გემოვნება არ დამიკარგავსო.

**ლინა ბარათაშვილი** – პოეტი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი



# პოეტის გახსენება



ასა - 99

## ქარი გიმღერის ნანასა...

უსაზღვროდ დიდი სინაზე და სიფაქიზე, სულის იშვიათი სილამაზე, ენით უთქმელი მხატვრულობა, ჰარმონიულობა და მუსიკალობა, აზრის ბრწყინვალეობა, გულითადობა, ქართული სული და კიდევ ბევრი უთქმელი ეპითეტი, – აი, ეს არის ანა კალანდაძის პოეზია...

და როცა სულს წყაროს წყალივით მოსწყურდება ლექსი, მწყურვალეობით ვენაფებით ჭეშმარიტ პოეზიას – ანას პოეზიას...

ღვთიური ნიჭით მირონცხებული, ბავშვივით ფაქიზი, კდემამოსილი და სათნო. თვითონ საოცარი, გაოცებული თვალეობით შესცქერის ქართულ ცას და ლოცვასავით ჩურჩულებს:

„შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო...“

შემდეგ ბაგეს სიყვარულით აღმოხდება ალერსი: „საქართველოო ლამაზო“ და მისი სილამაზით, ოშკით და ზარზმით, ბებერი ტაოს სიდიადით აღფრთოვანებულს, ცრემლები დაუსველებს სახეს.

„ეს სიხარულის ცრემლებია, როდი ვტირივარ?!“ – გვამშვიდებს პოეტი ქალი.

დღეს ყველაზე მეტად სულს სჭირდება საზრდო.

პოეზია შესანიშნავი სალბუნია სულის. პოეზიამ უნდა გადაგვაგვიწყოს წუთისოფლის ორომტრიალი, დარდი და ცრემლი.

ანას სათნოების სახლში, მის პოეტურ სამფლობელოში „ზღაპარს გვიამბობს ჭადარი და „მზეს უმღერიან ჩიტები“...

15 დეკემბერი ანა კალანდაძის დაბადების დღეა.

ლინა ბარათაშვილი

## მინის ძახილი – ნოსტალგია

ეჰ!.. ბედკრულო საქართველო, სამშობლოდან გადახვენილ, რამდენ ადამიანს არ ღირსებია შენს მშობლიურ მინაზე დასაფლავება!..

ვახტანგი საქართველოს ძირძველი კუთხიდან – მესხეთ-ჯავახეთიდან, კერძოდ, ბორჯომიდან იყო წარმოშობით, დედით პოლონელი და მამით ქართველი. სკოლის შემდგომ გაინვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში, რომლის დამთავრების შემდეგ რუსეთში, მოსკოვში დარჩა საცხოვრებლად და იქ გააგრძელა თავისი საქმიანობა სიცოცხლის ბოლომდე.

ვახტანგი თავის ქვეყანაზე შეყვარებული კაცი იყო. როცა ხანში შევიდა, მოუხშირა საქართველოში ჩამოსვლას და ბორჯომის ულამაზესი ბუნების მონახულებას. ყოველთვის მიხაროდა მისი ჩამობრძანება საქართველოში, დავხვდებოდი აეროპორტში და იქიდან იწყებოდა ჩვენი ქართული სტუმარ-მასპინძლობა და თავგადასავლები.

ერთხელ ბორჯომის სასაფლაოზე ავედი მისი მშობლების, ძმის და დის საფლავების მოსანახულებლად. ვახტანგმა სათითაოდ მიუალერსა საფლავის ქვებს, მათზე გამოსახულ სახეებს. უცებ ჩემკენ შემობრუნდა და მეუბნება:

– მე რომ მოგკვდები, აი, აქ, ჩემი ძმის გვერდით დამასაფლავეთ.

– ვახო, რა დროს შენი სიკვდილია, ჯერ სამოცი წლისაც არა ხარ, კიდევ დიდხანს უნდა იცოცხლო და ისიამოვნო ცხოვრების მშვენიერებით-მეთქი, – ვუთხარი. აიტეხა, გინდა თუ არა, ასე უნდა იყოსო.

– შენი ძმის გვერდით მის მეუღლეს – ნაზის მოუწვევს დაკრძალვა, ჯერ ხომ ცოცხალია და მისი კუთვნილია ეს ადგილი, მაინც და მაინც თუ საქართველოში გინდა დასაფლავება, როცა დრო მოვა, სხვა ადგილის გამონახვასაც შევძლებთ-მეთქი. ასე დამთავრდა ჩვენი დიალოგი.

მალე მოსკოვში დაბრუნების დროც დადგა. ვახტანგი თბილისის აეროპორტიდან გავაცილე. ნასვლის წინ არ დამავინყდება განშორებით გამონვეული მისი დანალვლიანებული და ცრემლმორეული თვალები.

გავიდა რამდენიმე თვე და მისი მეუღლე – ეკატერინე მირეკავს მოსკოვიდან: – ვახტანგი მძიმე მდგომარეობაშია, ინსულტმა გაუარა, რენიმაციის ბლოკში ჰყავთ შეყვანილი და არ ვიცი, გადარჩება თუ არაო. ცოტა ხანში კი, მისი გარდაცვალების ამბავიც შემატყობინა. მე ვუთხარი, რომ მისი რძალი – ძმის ცოლი ნაზიც ამ წუთებში გარდაიცვალა და ისიც დასაკრძალი გვყავდა. რძალ-მამული ერთ დღეს გარდაიცვალა.

ვახტანგის სურვილი, დაკრძალულიყო თავის მშობლიურ მინაზე, ვერ შესრულდა. მისმა მეუღლემ უარი განაცხადა საქართველოში მის გადმოსვენებაზე და მოსკოვში დაკრძალეს, 2008 წელს.

მე კი, ვახტანგ ნათენაძეს, თავისი წინაპრებისა და მინის მოყვარულ კაცს, ნაწილობრივ შევუსრულე სურვილი და მის საგვარეულო სასაფლაოს ქვაზე ეს სტრიქონები მივანერე:

„ვერ დავიმარხე საქართველოში, რუსეთი არის სულ სხვა ქვეყანა, მაგრამ იცოდე, რომ ჩემი სული, იყო და არის მუდამ თქვენთანა.“

ვისაც არ დასცალდა თავისი ქვეყნის, საქართველოს მინაზე თავისი ჯიშ-ჯილაგის სიახლოვეს დასაფლავება, აცხონოს მათი სულები მამა-ზეციერმა.



# ნამდვილი ამბები



გახილ ხაჩიძე

## რომელი საათია?

(იუმორისტული მოთხრობა)

გასული საუკუნის 80-იან წლებში ხაშურის მექანიკური ქარხანა მთელი დატვირთვით მუშაობდა. ქარხანაში ქალაქის თითქმის ყველა მხრიდან იყვნენ მუშა-მოსამსახურეები დასაქმებულნი, მათ შორის – ლუდა-შლუყურის დასახლებიდანაც. ამ მხარეში მცხოვრებთ ქარხანაში წასასვლელად გზად ჭალისუბნის

სასაფლაოზე გამავალი ბილიკი უნდა გაევილოთ.

ერთხელაც, ღამის ცვლის მუშები მექანიკურ ქარხანაში ამ ბილიკით მიდიოდნენ. მესაფლავეს სწორედ ამ დროს გადაუწყვეტია მიცვალებულისთვის საფლავის გაჭრა, რათა ჭირისუფლებისთვის ადრევე დაეხვედრებინა საფლავი.

როდესაც გაოფლილი მესაფლავე თავის სტიქიაში იყო და უკვე ღრმად ამოელო ორმო, რამდენიმე კაცის ფეხის ხმა შემოესმა, ალბათ, სამი-ოთხი კაცი იქნებოდა, რომლებიც აჩქარებით მიდიოდნენ, სამუშაოზე რომ არ დაგვიანებოდათ. მესაფლავემ გაიფიქრა, რომელი საათი იქნებაო და ბილიკზე მიმავალ მუშებს გასძახა:

– ბიჭებო, რომელი საათიაო?

მუშებს ეგონათ, საფლავი გაიხსნა და იქიდან მიცვალებული გვეძახისო და ისე მოკურცხლეს ადგილიდან, რომ ქარხანაში, დაგვიანების ნაცვლად, ათი წუთით ადრეც მივიდნენ.

# შ ე მ ე ც ნ ე ბ ა

## ქრისტეშობის დღესასწაული – 25 დეკემბერი თუ 7 იანვარი?

შობა უძრავი დღესასწაულია, განსხვავებით აღდგომისგან. მისი აღნიშვნა 25 დეკემბერს სიმბოლურ ხასიათს ატარებს.

21-22 დეკემბერს ზამთრის მზებუდობა, იგივე დროის ის მომენტი დგება, როდესაც მზის ცენტრი გაივლის ეკლიპტიკის ყველაზე სამხრეთით – 23°-27° დახრილობის მქონე ზამთრის მზებუდობის წერტილში, რის შემდეგაც რამდენიმე დღის მანძილზე მზის საშუალოდ სიმაღლე თითქმის უცვლელია.

სამი დღის შემდეგ დღე იწყებს მატებას, რაც სიმბოლურად ახალი სიცოცხლის დასაწყისია (გაგისხენოთ, იესო ქრისტეც სამი დღით იყო მკვდარი და შემდგომ მკვდრეთით აღდგა).

ბიბლიაში არსად წერია, თუ როდის დაიბადა იესო. 25 დეკემბერს ქრისტეშობის აღნიშვნა მე-4 საუკუნიდან დაიწყო მას შემდეგ, რაც რომში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

25 დეკემბერი ჯერ კიდევ ქრისტიანობამდელი სხვადასხვა ღვთაების თუ გმირის დაბადების დღეა. მაგალითად: მითრა, ზარათუშთრა, ოსირისი, ჰორი, კრიშნა, ბუდა, ატისი, დიონისე, ჰერაკლე, ადონისი, თამუზი, ჰერმესი და ა.შ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქრისტიანობამდე ძველ რომში 23 დეკემბერს იმ დროისთვის უდიდესი სახალხო ზეიმი სატურნალია აღინიშნებოდა, როცა მონებს ეძლეოდათ უფლება, ბატონების გვერდით მოეღებინათ.

ქრისტიანები ცდილობდნენ, ადრე არსებული დღესასწაულები საკუთარით ჩაენაცვლებინათ. თარიღები მაქსიმალურად დაემთხვიათ, რომ ხალხი ადვილად მიჩვეოდა ახალ დღესასწაულებს.

იმ პერიოდისთვის რომში იულიანური კალენდარი ფუნქციონირებდა. მოგვიანებით მთელ ევროპაში ნელ-ნელა გრიგორიანული კალენდრით დაიწყო ხელმძღვანელობა. იულიუსის კალენდარი გრიგორიანულს 13 დღე-ღამით ჩამორჩება.

რუსეთში გრიგორიანული კალენდარი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შემოიღეს, 1918 წლის 24 იანვრის დეკრეტით, რის შემდეგაც ქრისტეშობის აღნიშვნა რუსეთში 25 დეკემბრის ნაცვლად 7 იანვარს დაიწყო.

7 იანვარს ქრისტეშობას დღეისათვის მხოლოდ რუსეთი, ბელორუსია, სერბეთი, ეგვიპტე, ეთიოპია და საქართველო აღნიშნავენ, რომლებიც ისევ იულიანური კალენდრით ხელმძღვანელობენ. დანარჩენი ქრისტიანული სამყარო, როგორც კათოლიკური ისე – მართლმადიდებლური, შობას 25 დეკემბერს ზეიმობს.

როგორც აღინიშნა, 25 დეკემბერს შობის აღნიშვნას სიმბოლური დატვირთვა აქვს. ის ზამთრის მზებუდობიდან გამომდინარეობს, მზებუდობა კი ისევ 22 დეკემბერს არის და არა 4 იანვარს. ქართული საგალობელიც იმავეს გვიდასტურებს:

„25-სა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო“.  
და ქართული ეკლესია გაცილებით ძველია, ვიდრე რუსული. მთავარი მაინც არის ის, რომ ქრისტეშობის შემოსვლა ყოველ დღეს და წუთს ვიზიემით ჩვენს გულეებში.

# ხ ს ო ე ნ ა

## ადრეული რექვიემი

ო, მე არ ვიცი, ეს დღე რა იყო...  
ან შუალამე რატომ მანვალეს,  
რატომ იტირა აპრილმა ასე,  
ცრემლი რად სცვივა ღმერთის ნამნამებს...  
როგორც დაჭრილი ჩიტი-ჩიორა,  
გული უმწეოდ ისე ფართქალებს,  
თითქოს გამოჰკრეს ჩახმახს ხელი და...  
სულ ერთ ნამის წინათ დაცალეს.  
სადღაც სინაზეს სილას აწნავენ  
და ტანჯვით უთრთის უმწეო მხრები,  
მომავლის ქარებს შიშით ზაფრავენ  
გადამტვრეული საფლავის ჯვრები...  
ფრთებდალენილი გასწივის სული,  
გარბის და ისევ უკან ბრუნდება,  
განადგურდება რალაცა დიდი,  
ვიცი, უთუოდ განადგურდება...  
ვიღაც ჩამოგლეჯს ერთადერთ კანდელს  
და დაიწვება თეთრი საყდარი,  
დავრჩები, როგორც სიზმრის ნაგლეჯი,  
როგორც აფთარის ნაალაფარი!..  
ახლა კი, ახლა შუალამეა,  
აპრილის ზეცა მოთქმას უნდება,  
განადგურდება რალაცა დიდი...  
ვიცი, უთუოდ განადგურდება!..

## ჩვენი სულები

უძირო ცაზე გამექცევა სნეული სული  
და თბილი მინა გადამისხნის აკვნის არტახებს,  
უძირო ცაზე ატირდება ტკივილი ჩუმი,  
დრო და ჟამი კი ხსოვნის მაღლსაც გააპარტახებს.  
ვიღაცა მოვა ჩემი ჯიშით და ჩემი გენით,  
შინდისფერ თმაში გახლართული ფიქრთა რიალით,  
ვიღაცა მოვა შენი სისხლით და შენი ვნებით  
და გულში ხანძარს ააბრიალებს!  
აყვავილდება იმედების გრძნეული ბალი,  
დაიჯერებენ ერთმანეთის ღიმილს და ცრემლებს,  
წუთისოფელის ცბიერება როდესაც დალლით,  
ვიღაცა ისევ მიატოვებს ვიღაცას მერე...  
ვიღაცა ისევ გამოიტანს მრუდე განაჩენს,  
ვიღაცა ისევ შემოსწყრება ზეცას სრულებით,  
ვიღაცა ისევ სულ სხვას აარჩევს  
და მაშინ, ცაში იტირებენ ჩვენი სულები...

## კლარა ერჩიბეგაშვილი



ქალაქ ფლორენციის კონსერვატორიაში საგუნდო-სადირი-ჟორო განხრით მიღებულმა განათლებამ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა სოფიო კანდელაკის ხმის დიაპაზონისა და შესრულების ხარისხზე. იგი ასევე, სწავლობდა კიევის სასულიერო სემინარიაშიც. მეტად მრავალფეროვანია ახალგაზრდა სოპრანოს რეპერტუარი, რომელიც მოიცავს როგორც საოპერო სპექტაკლებს, ასევე,

ცნობილი კინომუსიკის არიებს.

უდიდეს შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ ნიჭიერ, მომხიბვლელ და მოკრძალებულ სოფიოს.



# ხ ე ლ ო ე ა ნ ე ბ ი

## „მიეცით ნიჭსა გზა ფართო...“

16 დეკემბერს, ხაშურის სამუსიკო სკოლის დარბაზში საოპერო ჟანრის მოყვარულებს დაუვინყარი საღამო აჩუქა სოპრანო სოფიო კანდელაკმა, ხაშურის სამუსიკო სკოლის მუსიკოსებთან და სიმებიან კვარტეტთან ერთად.

პირველად ივნისის თვეში წარსდგა ახალგაზრდა სოპრანო ხაშურელი მსმენელის წინაშე და წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

სამი წლის წინ სოფიო ათწლიანი ემიგრაციის შემდეგ იტალიიდან საქართველოში დაბრუნდა და ხაშურელების რძალი გახდა.

ყვარელში დაბადებული და გაზრდილი ნიჭიერი მომღერალი ადრეული ასაკიდანვე გამოირჩეოდა მუსიკალური მონაცემებით.